



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის
მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო
პროგრამა

შპს - ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 24.02.2022 / 25.02.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 01.06.2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური (ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით 0114

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის#

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით#

#

ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა ლომაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩიკვაშვილი, ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გრძელიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი. პროგრამა შექმნილია დაწესებულების ადმინისტრაციის, სტუდენტების, დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია გარე ექსპერტის შეფასებისა და ბაზრის მიმოხილვის შედეგები.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც პროგრამა ამზადებს საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელს.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 300 კრედიტს, რომლის ათვისებაც ხდება 5 აკადემიური წლის - 10 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებს. პროფესიულ პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული ორგანიზაციებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყოფილია აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ინფორმაციულ-საინფორმაციო ტექნოლოგიებით, სპეციალურად პროგრამისთვის შეიქმნა და აღიჭურვა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სასწავლო ლაბორატორიები, სტუდენტებისთვის ცალკე გამოყოფილია სტუდენტური სივრცეები, კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და ა.შ.

პროგრამისთვის განსაზღვრულია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული, გონივრულად შერჩეული პერიოდულობით.

პროგრამის შემუშავებასა და მის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური, შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი, მათ შორის სკოლის მართვასა და ადმინისტრირებაში გამოცდილი პერსონალი, შესაბამისი მიმართულების საგნობრივი ექსპერტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართული ტრენერები და ა.შ.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 1 22 0000155803 - 16/02/2022) თანახმად, 2022 წლის 24 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი შპს ევროპის უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, საბიბლიოთეკო ფონდი, სასწავლო ლაბორატორიები. შერჩევითად გადამოწმდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული

ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ფუნქციონირება, საბიბლიოთეკო მომსახურება და შესაბამისი პლატფორმები.

დაწესებულებაში პირის-პირ ვიზიტის მეორე დღეს, ამავე წლის 25 თებერვალს განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) „საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუებისა და პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისათვის საჭირო მონაცემების შეგროვების მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დისტანციური ვიზიტისას სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლის, დაწესებულების ადგილზე დათვალიერებისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ მონაცემებს

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

▪ **რეკომენდაციები**

- გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის სწავლის შედეგებთან;
- გაიზარდოს რეალური ლაბორატორიული სამუშაოს მოცულობა;
- სასწავლო კურსები „ზოგადი ქიმია“, „ორგანული ქიმია 1“, „ორგანული ქიმია 2“ , „არაორგანული ქიმია 1“, „არაორგანული ქიმია 2“ გაძლიერდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი დონის ძირითადი ლიტერატურით.
- გადაიხედოს კვლევის კომპონენტში შეთავაზებული კურსების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული კურსებისთვის განისაზღვროს პრაქტიკული კვლევითი უნარების რელევანტური შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა;
 - დამსაქმებლებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების რეპრეზენტატიულებისა და მაღალი სანდოობისათვის, სასურველია, გაიზარდოს გამოკითხული სკოლების რაოდენობა;
 - სასურველია, სილაბუსებში ლიტერატურა მითითებული იყოს აკადემიური სტილის დაცვით;
 - სასურველია, დამატებითი ლიტერატურის ფარგლებში განისაზღვროს ლიტერატურა მხოლოდ ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე;
 - სასურველია, შეფასებისას (მაგ. პრეზენტაციის, დისკუსია-დებატების და სხვ.) გამოყენებული იყოს არა ჰოლისტური რუბრიკა, არამედ ანალიტიკური რუბრიკა, რომელიც შესაბამისი კრიტერიუმების/რუბრიკების სწორად შერჩევით, შეფასებას გახდის უფრო სანდოს და ობიექტურს.
 - სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ პროგრამის პაკეტი გადაეცეს უცხოელ დარგის ექსპერტებს გარე შეფასების მიზნით.
 - სასურველია, ცალკეული აკადემიური პროცესების კიდეც უფრო მკაფიოდ შესწავლის მიზნით, მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელსაც დაექვემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.
-
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
-
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, შპს ევროპის უნივერსიტეტი ისწრაფვის სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფის, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისა და სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისაკენ. დაწესებულების მისიასთან კავშირების მოტივით არის ნაკარნახევი მიზანში გაწერილი შემდეგი დებულებები - “პროგრამის მიზანია მოამზადოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, აკადემიური უნარ-ჩვევების მქონე ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელი, რომელიც:

1. შეძლებს კონსტრუქტივიზმზე დაფუძნებული და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას;
2. საკუთარ პროფესიულ საქმიანობას განავითარებს პრაქტიკის კვლევის საფუძველზე სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
3. გაითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებს და სფეროს საერთაშორისო ტენდენციებს, უპასუხებს დარგის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის (300 კრედიტი) განხორციელების მიზანშეწონილობის გარე ფაქტორებისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი. პროგრამის მიზნები ეფუძნება აღნიშნული კვლევის შედეგებს. სწორედ ზემოთ აღნიშნული კვლევებით არის ნაკარნახევი ის, რომ პროგრამაში გაძლიერდა საგნობრივი კომპეტენციის განმავითარებელი კურსები, სასწავლო კურსები, რომლებიც მიმართულია სტუდენტებში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის, ციფრული რესურსების შექმნისა და ეფექტური გამოყენებისკენ, სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენისკენ, მოსწავლეთა შეფასებისა და კლასის მართვის საკითხებისკენ. პროგრამით დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგებია პროგრამის ფარგლებში სასწავლო

კურსების გამოყენებითი ფიზიკისა და სახალისო ფიზიკის ერთ კურსად გაერთიანება. გარდა ამისა, ეკოლოგიის სასწავლო კურსს დაემატა თემატიკა - გარემო ფაქტორების გავლენა ჯანმრთელობაზე.

დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულია 8 დამსაქმებელი. კვლევის რეპრეზენტაციულებისა და შედეგების მაღალი სანდომობისთვის, სასურველი, იყო უფრო მეტი დამსაქმებლის გამოკითხვა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავების საჭიროების დადგენის მიზნით, ჩატარებული სამაგიდე კვლევა, მოიცავს ადგილობრივი გამოცდილების ანალიზს, კვლევაში მიმოხილულია ადგილობრივი კონკტექსტი და ბაზრის საჭიროებები. ამავე დროს პროგრამა შეფასებული აქვს მიმართულების ექსპერტს. დგინდება მკაფიო კავშირები პროგრამის შინაარსსა და კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს შორის, აღნიშნული თვისებრივი მონაცემები და შესაბამისი დასკვნები, სწორედ რაოდენობრივი კვლევის შემავსებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ.

პროგრამა არის ახალი. შესაბამისად ის არ არის განთავსებული დაწესებულის ვებგვერდზე. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების შემთხვევაში, განთავსდება ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. თითოეული ჩართული მხარე ავლენდა დეტალურ ცოდნას პროგრამის შესახებ და აღწერდა პროგრამაზე მუშაობის პროცესს. ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია იყო თანმიმდევრული, რელევანტური და ურთერთშემავსებელი, რაც მიანიშნებს, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ და შემუშავებულია მათი ჩართულობით.

პოტენციური დამსაქმებლებთან / პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ პროგრამას, თუმცა ვერ აღწერენ საკუთარ წვლილს პროგრამის შემუშავების პროცესში. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ პროგრამა გაზიარებულია დამსაქმებლებისთვის, თუმცა პროგრამის შემუშავების პროცესში სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი მათი ნაწილის ჩართულობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების მისია;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- თვითშეფასება;
- ინტერვიუს შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაწესებულებამ გააძლიეროს პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციურ დამსაქმებელთა ჩართულობა;
- დამსაქმებელთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების რეპრეზენტაციულებისა და მაღალი სანდოობისათვის, სასურველია, გაიზარდოს გამოკითხული სკოლების რაოდენობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობის შესაძლებლობებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

მიზანშეწონილობის გარე ფაქტორებისა და პოტენციურ დამსაქმებელთა, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს. ითვალისწინებს გარე ექსპერტისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეფასებებს. აღნიშნული კვლევის შედეგები შეჯამებულია და პროგრამის ხელმძღვანელს შემუშავებული აქვს ანგარიში კვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებული ცვლილებების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის პროგრამას მტკიცებულების სახით. პროგრამის შესწავლის შედეგად დგინდება მკაფიო კავშირები კვლევის შედეგებსა და პროგრამის შინაარს შორის.

პროგრამის შემუშავების საჭიროების დადგენის შემდეგ ფაკულტეტი ირჩევს პროგრამის ხელმძღვანელს და იწყება პროგრამაზე მუშაობის პროცესი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურებით. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც ადმინისტრაციული ერთეულები, ასევე სპეციალურად შექმნილი კომიტეტები. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის თვითშეფასების გარკვეული კომპონენტების ანალიზსა და რევიზიაში ჩართულები არიან ასევე სხვა ფაკულტეტებიც. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და თითოეული ეტაპის შედეგების გაზიარება ხდებოდა ელექტრონულად თუ სამუშაო შეხვედრებზე პირის-პირ. ამას ასევე ადასტურებდა ინტერვიუს მსვლელობისას თითქმის ყველა ჯგუფის მხრიდან მიღებული თანმიმდევრული და ურთიერთთავსებადი პასუხები. ზემოთ აღნიშნული მიგნებებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია თითქმის ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სწავლის შედეგების გაცნობა მათთვის. გამოწვევად რჩება პროგრამაზე მუშაობის პროცესში დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მიგნების შესახებ დეტალური აღწერა იხილეთ 1.1. სტანდარტში.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ დაწესებულება იყენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკას.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა მიერ მიღწეული შედეგები იმ კომპონენტების ფარგლებში, რომელშიც ფასდება/ჯამდება შესაბამისი სწავლის შედეგი. სტუდენტთა შეფასების ერთიანი შედეგები, შესაბამის ინდიკატორთან დადარების შედეგად, ნაწილდება შეფასების სამი დონის შკალაზე - ვერ აკმაყოფილებს, მეტწილად აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს. თითოეული ინდიკატორის და შეფასების თითოეული დონისთვის გაწერილია შეფასების რუბრიკები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა ადგენს სამიზნე ნიშნულებს, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება სწავლის შედეგები მიღწეულად და რა შემთხვევა საყურადღებოდ. პროგრამის სამიზნე ნიშნულად შერჩეულად შემდეგი პარამეტრი:

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მიღებული შედეგებიდან საყურადღებოდ ითვლება შედეგი, როცა შემოწმებული ნაშრომების 10% - ზე მეტი შეფასების რომელიმე ინდიკატორში ფასდება შეფასების დონით „ვერ აკმაყოფილებს“. ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მეტწილად ვერ მიიღწევა და ამდენად, საჭიროა მიზეზების კვლევა.

დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავებულია წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს.

პირდაპირი მეთოდით შეფასების პროცესში მონაწილეობს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ყველა კომპონენტი და კომპონენტზე დარეგისტრირებული ყველა სტუდენტი. მოწმდება თითოეულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა რამდენი პროცენტი იღებს შეფასებას A (ფრიადი) და შეფასებას F (ჩაიჭრა). იმისათვის, რომ შედეგები იყოს ლოგიკური, მოწმდება ისეთი ჯგუფები, სადაც კონკრეტულ სასწავლო კომპონენტზე დარეგისტრირებულია 10 სტუდენტზე მეტი. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ანალიზის შედეგად მიღებული ისეთი საყურადღებო შემთხვევა, როდესაც საჭირო ხდება მიზეზების კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად. დაკვირვების შედეგების სამწლიან დინამიკაზე დაკვირვებით პროგრამის სამუშაო ჯგუფი იწყებს მიზეზების კვლევასა და შედეგებზე რეაგირებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირ მეთოდად გამოიყენება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

აღნიშნული მიგნებებისა და აღწერილობებზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგების მექანიზმი არის თანმიმდევრული, კომპლექსური და პროგრამის განვითარებაზე ორიენტირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დაწესებულების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.</p> <p>პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:</p> <ol style="list-style-type: none"> ქართულ ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა). აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. მათემატიკა/ისტორია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისათვის (მათემატიკა/ისტორია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე მოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე. ფიზიკა/ქიმია/ბიოლოგია (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისათვის (ფიზიკა/ქიმია/ბიოლოგია) განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე მოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე. <p>პროგრამით განსაზღვრულია ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის პირობებიც. კერძოდ, პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩარიცხონ უნივერსიტეტში</p>

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებული არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

დაწესებულება მზაობას გამოხატავს, პროგრამაზე სტუდენტები ჩაირიცხოს გარემობილობის წესითაც. კერძოდ, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამა არის ახალი. ინტერვიუებიდან და ვებგვერდზე განთავსებული დაწესებულებაში მოქმედი პროგრამების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედები ყველა პროგრამის წინაპირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ განათავსებს ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებას. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ შესაბამისი ინფორმაცია, პროგრამის წინაპირობისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ მონაცემები გაგზავნილია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში აღნიშნული ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით აბიტურიენტებისთვის გაცნობის მიზნით.

პროგრამის წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს და უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩარიცხვას პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.eu.edu.ge).
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების“ შესაბამისად.</p> <p>პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, პროგრამის კომიტეტი, მმართველი საბჭო, პერსონალი, დაინტერესებული მხარეები (პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი დაინტერესებული მხარეებისა და პერსონალის ჩართულობით, ასევე, პროგრამის კომიტეტზე განხილვისა და ხარისხის</p>

უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო კავშირში ახდენს პროგრამის შემუშავებას. საგანმანათლებლო პროგრამა წარედგინება სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს განხილვის შემდგომ პროგრამა გადაეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამზადებს პროგრამის აკრედიტაციის შესაბამისობასთან შეფასების შესახებ დასკვნას. აღნიშნული დასკვნისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე მმართველი საბჭო ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებას.

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის იმ აკადემიურ დატვირთვას, რაც საჭიროა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 300 კრედიტს, რომელიც მოიცავს:

- **საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდული - 130 ECTS**, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობაა 121 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობა - 9 ECTS;
- **მასწავლებლის მომზადების მოდული - 63 ECTS**, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობაა 60 ECTS, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებისთვის დათმობილი კრედიტების მოცულობა - 3 ECTS;
- **სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები - 60 ECTS**, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 20 ECTS;
- **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 29 ECTS**;
- **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები - 18 ECTS**.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით ლოგიკურად განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, სასწავლო კურსების, კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა. კერძოდ, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტზე სტუდენტის დაშვება ხდება საგნობრივი და მეთოდური სავალდებულო კურსების გავლის შემდეგ. კვლევის კომპონენტი აგებულია ისე, რომ კვლევის შესავალი და ჩადრმავებული კურსები ამზადებს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას.

<p>პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) ჩართულობის შესახებ დეტალური ანალიზი იხილეთ 1.1. ქვესტანდარტში.</p> <p>უშუალოდ პროგრამის შემუშავების პროცესს წარმართავდა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი პროგრამის კომიტეტი, რომელიც განიხილავდა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს, დაინტერესებული მხარეების შეფასების შედეგებს, კომენტარებსა და რეკომენდაციებს და მათი გაანალიზების საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებებს პროგრამის შემუშავების პროცესში. აღნიშნული დასტურდება შესაბამის მხარეებთან ინტერვიუების შედეგად.</p> <p>დაწესებულებას გააჩნია ვებგვერდი, რომელიც დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა. ვებგვერდზე განთავსებულია მოქმედი პროგრამები და პროგრამებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგად დაზუსტდა, რომ პროგრამის აკრედიტაციის გავლის შემდეგ წარმოდგენილი პროგრამა განთავსდება ასევე ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული ფართო წრისათვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები; • დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <p>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p> <p>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიდევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და შესაბამისად, ძირითად შემთხვევაში, უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას. წარმოდგენილი სასწავლო კურსები ძირითადად, უზრუნველყოფს მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული ცოდნის მიღებას.</p> <p>წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში განსაზღვრული სასწავლო კურსებით მისაღწევი სწავლის შედეგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მაღალი, საშუალო, თუ დაბალი ხარისხით.</p> <p>თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მკაფიოდ არ იკვეთება სასწავლო კურსებში პროგრამის მე-9 სწავლის შედეგის „ახდენს საკუთარი პროფესიული საქმიანობების იდენტიფიცირებას და გეგმავს საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს“ მიღწევის შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუში იყო ახსნილი, რომ ამ საკითხებზე ფოკუსირება ხდება სასწავლო კურსში „კვლევის ინოვაციური მეთოდები განათლებაში“, „პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა“, „დიაგნოსტიკური კვლევა და დიფერენცირებული მიდგომა“, „პედაგოგიური პრაქტიკა 1“, „პედაგოგიური პრაქტიკა 2“, ამ სწავლის შედეგის მიღწევა კურსების შინაარსით ნაკლებად მოსალოდნელია. აღნიშნულ სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული ისეთი აქტივობა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი მოახდენს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მათზე დაყრდნობით პროფესიული განვითარების ხედვის/გეგმის ჩამოყალიბებას.</p>

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში სასწავლო კურსების ნაწილი შინაარსობრივად პასუხობს სწავლის მე-4 შედეგს: „განიხილავს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს ინტერდისციპლინურ ჭრილში და მიღებულ ცოდნას აკავშირებს ყოველდღიურ ცხოვრებასთან,“ მნიშვნელოვანია, შესაბამის სასწავლო კურსებშიც მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი ისეთი თემები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების ინტეგრირებულად სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების ათვისებასა და ბუნებისმეტყველებაზე თანამედროვე სამეცნიერო მსოფლმხედველების ჩამოყალიბებას ინტერდისციპლინარულ ჭრილში. აქედან გამომდინარე, **რეკომენდებულია**, საგნის-საგნობრივი ჯგუფის მოდულის სილაბუსების სალექციო თემატიკებში ჩაშლილი იყოს შესაბამისი საკითხები. სასურველია, სტუდენტებს, სავალდებულო-არჩევითი კომპონენტის სახით, ქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ კურსი - ფიზიკური ქიმიის რჩეული თავები. აღნიშნული კურსი სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას შესწავლოს თანამედროვე ხედვები ფუნდამენტურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინტეგრაციასა და ქიმიის ძირითადი თეორიული საკითხების (მაგ. სტრუქტურული, თერმოდინამიკული, კინეტიკური და სხვ.) დეტალური ანალიზის შესახებ.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები, ძირითად შემთხვევაში, შესაბამისია მის შინაარსთან და საფეხურთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში სალექციო - ზოგ შემთხვევაში კი პრაქტიკულ - ნაწილში თემების ფარგლებში არ არის ჩაშლილი კონკრეტული შესასწავლო საკითხები, რაც ექსპერტთა ჯგუფისთვის ართულებს მითითებული თემატიკის შინაარსის მოცულობისა და სიღრმის შეფასებას. გარდა ამისა, სტუდენტი განსაკუთრებით კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული შესასწავლო მეცნიერებების ფუნდამენტურ თეორიულ საკითხებში და ეს მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს სასწავლო კურსის თემატიკიდან. სადემონსტრაციოდ შეიძლება რამდენიმე სასწავლო კურსის მაგალითის მოყვანა: „**ზოგადი ქიმია**“, „...**არაორგანული ქიმია 1**“, „**ორგანული ქიმია 2**“, „**ვგოლუცია**“, „**კვანტური მექანიკა და რელატივიზმი**“ და სხვ. ამიტომ, **რეკომენდებულია გადაიხედოს და შეივსოს ზოგიერთი პროგრამის სასწავლო კურსების სალექციო ან/და პრაქტიკული კომპონენტის თემატიკების შინაარსი, თემების ფარგლებში შესწავლილი საკითხების დაკონკრეტების მიზნით.**

გარდა ამისა, პროგრამის სასწავლო კურსის (სილაბუსში) „**ზოგადი ქიმია**“ სალექციო თემატიკაში დაემატოს ისეთი საკითხები როგორც არის :

- ძირითადი ქიმიური ცნებები: ქიმიური ელემენტები და ნივთიერებები. ფარდობითი ატომური მასა. ფარდობითი მოლეკულური მასა. მოლი. ქიმიური ფორმულები, ტოლოგები. ვალენტობა. სტექიომეტრიული ძირითადი კანონები: მასის მუდმივობის კანონი, ავოგადროს კანონი, შედგენილობის მუდმივობის კანონი. სტექიომეტრიული კანონების მნიშვნელობა ქიმიის განვითარებაში, მათი გამოყენების საზღვრები.
- კოორდინაციული (კომპლექსური) ნაერთები. კოორდინაციული ქიმიის საფუძვლები. კოორდინაციული ნაერთების თეორია, კლასიფიკაცია. კომპლექსწარმოქმნა, ხელატები.

ლაბორატორიული ტექნიკისა და მეთოდების ფლობისა და ქიმიურ ექსპერიმენტზე უსაფრთხოდ მუშაობის უნარების ჩამოყალიბების მიზნით სასწავლო კურსის „ქიმიის სწავლების თანამედროვე მეთოდის“ შინაარსის თემატიკაში აისახოს საკითხი- სკოლის ქიმიის ოთახი და მისი დანიშნულება, უსაფრთხოების ტექნიკა ქიმიურ ლაბორატორიაში. სკოლის ქიმიის ექსპერიმენტი, ლაბორატორიული ჭურჭელი და დგარები, ექსპერიმენტის ტექნიკა.

რეკომენდირებულია, სასწავლო კურსში: „**ზოგადი ქიმია**“, „**ორგანული ქიმია 1**“, „**ორგანული ქიმია 2**“ პრაქტიკულ ნაწილში მომავალ მასწავლებელს ლაბორატორიული ექსპერიმენტის ჩატარების მტკიცე უნარების ჩამოსაყალიბებლად და ექსპერიმენტული გამოცდილების შესაძენად, რეალური ლაბორატორიული მეცადინეობების წილი გაიზარდოს. თუმცა არის სასწავლო კურსები, მაგალითად „**არაორგანული ქიმია 1**“, „**არაორგანული ქიმია 2**“, „**ბოტანიკის ზოგადი კურსი**“, „**მიკრობიოლოგია**“,

სადაც ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული საათები, თემატიკიდან გამომდინარე, არ არის საკმარისი ამიტომ, **გაიზარდოს რეალური ლაბორატორიული მეცადინეობების რაოდენობა სამუშაო ჯგუფში მუშაობის (დისკუსია/დებატების) შეკვეცის ხარჯზე.**

სასწავლო კურსების ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო, დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას, თუმცა სასწავლო კურსები „ზოგადი ქიმია“, „ორგანული ქიმია 1“, „ორგანული ქიმია 2“, „არაორგანული ქიმია 1“, „არაორგანული ქიმია 2“ რეკომენდებულია სწავლების საფეხურის შესაბამისი დონის ძირითადი ლიტერატურით გაძლიერდეს.

სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი სასწავლო კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მოცულობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საათები განაწილებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. კერძოდ, სასწავლო კურსების, რომლებიც საჭიროებენ ლექტორთან მეტ კომუნიკაციას, დამოუკიდებელ საათებთან შედარებით, ითვალისწინებენ მეტ საკონტაქტო საათს, ხოლო სასწავლო კურსები, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, საკონტაქტო საათების უმეტესობა ეთმობა სამუშაო ჯგუფში მუშაობას (პრაქტიკული მეცადინეობა).

სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდები და აქტივობები, რომელიც ასევე წარმოდგენილია სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკაში. იგი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სწავლების რომელი მეთოდი/აქტივობა უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით.

დამხმარე ლიტერატურის ნაწილში მითითებულ წყაროებს აქვთ თავისი დიდაქტიკური ამოცანა და სტუდენტი იყენებს ამ ინფორმაციას სასწავლო კურსის შესწავლისას. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლა. ამიტომ, პროგრამის სასწავლო კურსებიდან მაგალითად, “წრფივი ალგებრისა და ანალიზური გეომეტრიის ელემენტები”, “მათემატიკური ანალიზი”, “კვანტური მექანიკა და რელატივიზმი”, “ატომური ფიზიკა”, “ნეირობიოლოგიის საფუძვლები” და სხ. სასურველია, ამოღებული იყოს ლიტერატურული წყაროები ინგლისური ენის გარდა სხვა უცხოურ ენაზე.

გარდა ამისა, სასწავლო კურსის „თანამედროვე ფიზიკა“ არ არის განსაზღვრული დამატებითი ლიტერატურა. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და აღნიშნულ სასწავლო კურსს დაემატოს დამატებითი ლიტერატურა.

სასურველია, სილაბუსებში ლიტერატურა, მათ შორის რიდერები, მითითებული იყოს აკადემიური სტილის დაცვით, რათა სილაბუსის გაცნობისას შესაძლებელი იყოს იმის შფასება, რა წყაროებზე დაყრდნობით არის მომზადებული სასწავლო მასალები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის სწავლის შედეგებთან; • გაიზარდოს რეალური ლაბორატორიული სამუშაოს მოცულობა; • სასწავლო კურსები „ზოგადი ქიმია“, „ორგანული ქიმია 1“, „ორგანული ქიმია 2“ , „არაორგანული ქიმია 1“, „არაორგანული ქიმია 2“ გაძლიერდეს სწავლების საფეხურის შესაბამისი დონის ძირითადი ლიტერატურით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, სილაბუსებში ლიტერატურა მითითებული იყოს აკადემიური სტილის დაცვით; • სასურველია, დამატებითი ლიტერატურის ფარგლებში განისაზღვროს ლიტერატურა მხოლოდ ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე;
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, რაც დასტურდება პროგრამის კომპონენტებით, კერძოდ:

- პრაქტიკული კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტის, ისე დამოუკიდებელი მოდულის სახით - სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა;
- პრაქტიკული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს სავალდებულო **“პედაგოგიური პრაქტიკა 1”** და **“პედაგოგიური პრაქტიკა 2”**.
- პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს **„კვლევის ინოვაციური მეთოდები განათლებაში“**, **„პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა“**, **“დიაგნოსტიკური კვლევა და დიფერენცირებული მიდგომა”**, რომელთა მიზანია კვლევითი უნარებისა და პრაქტიკული ჩვევების დახვეწა, რათა სტუდენტი ანალიტიკურად მიუდგეს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;
- საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ითვალისწინებს **კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს**, რომლის მიზანია პროგრამის ფარგლებში სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული სამეცნიერო თუ პრაქტიკული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტის გზით გამოავლინოს თუ რამდენად ფლობს მაგისტრანტი დასმულ საკითხებთან დაკავშირებულ კვლევის მეთოდებს, წარმოაჩინოს მისი მზაობა მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების საშუალებით.

პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, რომელთანაც გაფორმებული აქვთ თანამშრომლობის მემორანდუმი.

ევროპის უნივერსიტეტში მოქმედებს რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით დამტკიცებული **„პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“**, რომლის ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ელექტრონული პლატფორმა **„Turnitin“**, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის აღმოჩენას და უზრუნველყოფს სტუდენტებში აკადემიური კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისთვის მუდმივად ტარდება შესაბამისი საინფორმაციო ღონისძიებები და ტრენინგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;

- ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით დამტკიცებული “პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცესი და მექანიზმები”;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამისთვის შერჩეულია სფეროსთვის/სწავლების საფეხურისთვის შესაბამისი სწავლების მეთოდები და აქტივობები: **ლექცია**, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტება, ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, დემონსტრირება; **სამუშაო ჯგუფში მუშაობა**, რომელიც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა. სავარჯიშოებზე მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, პრეზენტაცია, პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ..

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დადგენის და ასევე, მათი გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით, პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სწავლებისა და სწავლის მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მაღალი, საშუალო თუ დაბალი ხარისხით მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პროგრამის ფარგლებში, თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულია ლექტორთან დამატებითი კონსულტაციებისთვის გამოყოფილი დრო და ადგილი. საკონსულტაციო განრიგი სასწავლო პროცესის მსვლელობისას საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე.

სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმა <https://moodle.edu.ge/moodle/>. და შიდა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, პროგრამის ათვისებისთვის გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით / კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისობაში კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს პროგრამის/კურსის სპეციფიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.
- ინტერვიუს შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების ცოდნის და უნარების შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისი და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი. შეფასების ფორმები და მეთოდები, სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგებზე გასვლას. სტუდენტის მოსწრება ფასდება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. შეფასება არის 100 ქულიანი და მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შუალედური და დასკვნითი</p>

გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 30 % და დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%. სტუდენტს ენიჭება კრედიტი თუ ის გადალახავს გამოცდის ბარიერს და დააგროვებს 51-ს და მეტ ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით:

- ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია კურსის შესაბამისი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომლის შესახებ ინფორმაციაც სტუდენტს მიეწოდება სწავლის დაწყებისას. სასწავლო კურსის სილაბუსები ხელმისაწვდომია სტუდენტსა და სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალს შორის მასალების საკომუნიკაციოდ ევროპის უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმაზე (<https://moodle.edu.ge/moodle/>), ასევე, ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმაზე <https://eunsis.eun.edu.ge/>. შეფასების მეთოდები ობიექტური და გამჭვირვალეა, ორიენტირებულია სასწავლო კურსის მიზნებს და ემსახურება სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ცოდნის შესაფასებლად გამოიყენება მრავალფეროვანი მეთოდები, როგორცაა სამუშაო ჯგუფში აქტიურობა/ზეპირი გამოკითხვა, ლაბორატორიული მუშაობა, ქვიზი, დისკუსია, სიტუაციური ამოცანა, შემთხვევის ანალიზი/ქეისი, პრაქტიკული სავარჯიშო/დავალება/ამოცანა, პრეზენტაცია, რეფერატი, პორტფოლიო, კვლევითი ნაშრომი, რეფლექსია და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების ინსტრუმენტად, ძირითად შემთხვევაში, გამოყენებულია ჰოლისტური რუბრიკები. **სასურველია, შეფასებისას (მაგ. პრეზენტაციის, დისკუსია-დებატების და სხვ.) გამოყენებული იყოს არა ჰოლისტური რუბრიკა, არამედ ანალიტიკური რუბრიკა, რომელიც**

შესაბამისი კრიტერიუმების/რუბრიკების სწორად შერჩევით, შეფასებას გახდის უფრო სანდოს და ობიექტურს.

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პედაგოგიური პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება უნდა მოხდეს რეალურ გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგიური პრაქტიკის კომპონენტის შესრულების პროცესს უნივერსიტეტის მხრიდან ზედამხედველობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი, ხოლო დაწესებულებიდან - მენტორი. პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი აფასებს სტუდენტის მიერ პრაქტიკის კომპონენტის შესრულების პროცესს, ხოლო მენტორი - სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის სილაბუსით დადგენილი სამუშაოს შესრულებას. პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორი მიერ სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და კრიტერიუმებს შორის ქულათა განაწილება, ასევე, შეფასების რუბრიკები, მოცემულია საგნის სილაბუსში და დანართში „პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები“. პედაგოგიური პრაქტიკის დასკვნითი შეფასებების კრიტერიუმები და მათ შორის ქულათა განაწილება ასევე განისაზღვრება პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსით.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის კომპონენტი მოიცავს სასწავლო კურსებს:

- კვლევის ინოვაციური მეთოდები განათლებაში
- პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა
- დიაგნოსტიკური კვლევა და დიფერენცირებული მიდგომა

აღნიშნული სასწავლო კურსების მიზანი სტუდენტებში კვლევითი კომპეტენციის განვითარებაა, რომელიც აშზადებს მას სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და განხორციელებაში. ზემოთ აღნიშნულ სასწავლო კურსებში არ არის აღწერილი ისეთი დავალება / აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტს მოუწევს შესაბამისი პრაქტიკული კვლევითი დავალების შესრულება. შეფასების რუბრიკები ასევე არ ითვალისწინებს შესაბამისი პრაქტიკული აქტივობების რელევანტურ კრიტერიუმებს და მიმართულია, ძირითად შემთხვევაში, თეორიული ცოდნის შეფასებისკენ. აღნიშნული გარემოება ართულებს იმის დადასტურებას, რამდენად მზად არის სტუდენტი თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარების გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად. ამდენად მნიშვნელოვანია, გადაიხედოს კვლევის კომპონენტში წარმოდგენილი სასწავლო კურსების შეფასების სისტემა. შეირჩეს პრაქტიკული კვლევითი უნარების რელევანტური შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები. აღნიშნულის გათვალისწინება მოხდეს კურსების შინაარსის ფორმირებისას.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი, წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტის „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“, ხოლო თითოეული კრიტერიუმის ქულათა განაწილება განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (ნაშრომის დაცვაზე) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია.

<p>სტუდენტის შეფასების პროცედურები სამართლიანი და გამჭვირვალეა ყველა სტუდენტისთვის. ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების პროცედურები, რომელიც გაწერილია უნივერსიტეტში მოქმედი „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი“-ში. გასაჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმირებულობა დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს მსვლელობისასაც.</p> <p>პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე გასვლისა და მათი აკადემიური მოსწრების შესახებ. უნივერსიტეტი აანალიზებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, ითვალისწინებს მიღწეულ შედეგებს და შესაბამისად გეგმავს პროგრამის განვითარებისა და გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ეფექტურობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● თვითშეფასების ანგარიში; ● სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი; ● სილაბუსები; ● დანართი “პედაგოგიური პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები” ● ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>გადაიხედოს კვლევის კომპონენტში შეთავაზებული კურსების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული კურსებისთვის განისაზღვროს პრაქტიკული კვლევითი უნარების რელევანტური შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, შეფასებისას (მაგ. პრეზენტაციის, დისკუსია-დებატების და სხვ.) გამოყენებული იყოს არა ჰოლისტური რუბრიკა, არამედ ანალიტიკური რუბრიკა, რომელიც შესაბამისი კრიტერიუმების/რუბრიკების სწორად შერჩევით, შეფასებას გახდის უფრო სანდოს და ობიექტურს.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<h4>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</h4> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ევროპის უნივერსიტეტი მუდმივად უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევებისა და კარიერული განვითარების შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უმთავრესად უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით</p>
--

(<https://www.eu.edu.ge/ge>), სადაც ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე განთავსდება ინფორმაცია სასწავლო პროცესის ვადების, სასწავლო ცხრილების, შუალედური და დასკვნით გამოცდების ცხრილების შესახებ. გარდა ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისა, სტუდენტებთან სწავლის დაწყებამდე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციებს ახორციელებენ ფაკულტეტის თანამშრომლები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და სხვა. სემესტრის განმავლობაში აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციებისთვის გამოყოფილია კვირაში 2 საათი და კონსულტაციების გეგმა დგება სემესტრის დასაწყისში. სასწავლო კურსის განმახორციელებელ პერსონალსა და სტუდენტს შორის სასწავლო მასალების გასაზიარებლად ევროპის უნივერსიტეტი იყენებს Moodle-ის ელექტრონულ პლატფორმას.

ინტერვიუს მსვლელობისას სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ყველა რესურსი, იღებენ ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესის წარმართვის, შეფასებისა და გასაჩივრების წესების შესახებ. სტუდენტებთან კავშირის დამყარება და ინფორმირება ძირითადად ხდება ონლაინ რეჟიმში, უნივერსიტეტის მეილის და ელექტრონული პლატფორმის (<https://eunsis.eun.edu.ge/>) გამოყენებით. სტუდენტთა საინფორმაციო სისტემის (პლატფორმის) მეშვეობით ხორციელდება მათი აკადემიური რეგისტრაცია და აკადემიურ მოსწრებაზე თვალყურის დევნება. გარდა ამისა, პლატფორმა გამოიყენება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გამოკითხვების და დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. სტუდენტებს მუდმივად ეგზავნებათ ინფორმაცია ტრენინგების, კონფერენციების სამეცნიერო და დასაქმების ფორუმების შესახებ.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანია სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა და კარიერული განვითარებაში კონსულტირება. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია ეგზავნებათ როგორც აქტიურ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თემატიკის შერჩევა ხდება მაგისტრანტის კვლევის მიზნებისა და ინტერესებიდან გამომდინარე. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე სამეცნიერო ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელი უნდა იყოს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური ხარისხი. ან მაგისტრის ხარისხის და განსაკუთრებული გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის ხელმძღვანელობის გამოცდილება. იმ შემთხვევაში თუ სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას, ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება და ფლობდეს უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული 26 პერსონალიდან 8 სრულიად აკმაყოფილებს ხელმძღვანელობის პირობებს (აქვთ სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა/გამოცდილება და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება), რომელიც გაწერილია “სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში“, ხოლო დანარჩენი 18 აკმაყოფილებს თანახელმძღვანელობის პირობებს. ერთ ხელმძღვანელს

ერთდროულად შეუძლია აიყვანოს 5 სტუდენტი. ხელმძღვანელთან ურთიერთობის და დამოუკიდებლად მუშაობის საათები განსაზღვრულია და გაწერილია სილაბუსში. რადგანაც, მოცემული პროგრამა ახალია, შესრულებული ნამუშევრების დათვალიერება და ხელმძღვანელობის გამოცდილების მქონე პირებთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, თუმცა მასწავლებლის მომზადების ერთ საფეხურიანი პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს მუდმივად აქვთ კონტაქტი ხელმძღვანელებთან (ამ შემთხვევაში საუბარი იყო პრაქტიკის ხელმძღვანელზე) და იღებენ მათგან უკუკავშირის ანგარიშის წერის დროს.

ნაშრომის შესრულების, გაფორმების წესები, შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები გაწერილია დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი“. შესრულებული ნაშრომი გადის შემოწმებას პლაგიატზე, პროგრამა Turnitin-ის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებით, ნაშრომებით, პუბლიკაციებით, პრაქტიკული გამოცდილებით. ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის N84 ბრძანებით). მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა გამოითვლება პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათებისა და პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში ჩასატარებელი საათების მინიმუმ 60%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი. აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) ფარგლებში, (პროგრამაზე სტუდენტთა დაგეგმილი მისაღები რაოდენობის გათვალისწინებით), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი „პერსონალის შერჩევის წესის“ (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებებით) მიხედვით. ასევე, უნივერსიტეტში თითოეულ თანამდებობას განსაზღვრული აქვს სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის მიხედვითაც ხდება მათი დაქირავება. პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრავს დაქირავების პროცედურებს, სამუშაო აღწერილობები კი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 43 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 29 აკადემიური პერსონალი და 14 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 7 პროფესორია (მათ შორის 3 აფილირებული

პროფესორი), 12 ასოცირებული პროფესორია (მათ შორის 3 აფილირებული), 10 ასისტენტ-პროფესორია (მათ შორის 6 აფილირებული).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გადანაწილება ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ასევე ითვალისწინებს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებსაც, კერძოდ, 2 საათს კვირაში. სილაბუსით განსაზღვრულია ყოველ კვირაში 2 საათი საკონსულტაციო შეხვედრა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პიროვნული უნარ-ჩვევები და სამართლებრივი აქტები, რომელსაც ის უნდა იცნობდეს, გაწერილია დოკუმენტში „ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი: ნინო ფეტვიაშვილი და ნათია არაბული. ნინო ფეტვიაშვილი ევროპის უნივერსიტეტში იკავებს აფილირებული ასისტენტ-პროფესორის პოზიციას და აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაუძღვება რამდენიმე სასწავლო კურსს. ნათია არაბული არის ევროპის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტ-პროფესორი, რომელიც საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე გაუძღვება რამდენიმე სასწავლო კურსს.

მტკიცებულებათა ერთობლიობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალით. საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, პროცესების ადმინისტრირების და სტუდენტთა მომსახურების მიზნით ჩართულია ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის 2 ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი (1 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (2 თანამშრომელი), საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (3 თანამშრომელი), ჯამში 12 ადმინისტრაციული პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ევროპის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- + აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გათვალისწინების ანგარიში;
- საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;

- შრომითი ხელშეკრულებები/ავილირების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტში შემუშავებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმები. აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ევროპის უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა 2018-2019 აკადემიური წლის ბოლოს და მას შემდეგ ხორციელდება ყოველწლიურად. შეფასების შედეგების მიხედვით პერსონალის დაჯილდოება ევროპის უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება საჯაროდ, სტუდენტთა თანდასწრებით, რაც ადმინისტრაციის აზრით, ზრდის სტუდენტთა მოტივაციას მიიღონ აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებსა და გამოკითხვის პროცესში. შეფასების შედეგები ეგზავნება თითოეულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებსა და დეკანებს შესწავლისა და რეაგირებისთვის. ფაკულტეტის დეკანი რეაგირების ანგარიშს წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რეაგირების პროცესების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით.

ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

1. აკადემიური პერსონალი ფასდება განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიხედვით. უნივერსიტეტში შემუშავებულია „შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ქულა.
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, ფასდება მათი აკადემიური საქმიანობის მიხედვით (შეფასების პროცესი რეგულირდება „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის“ შესაბამისად), რაც გულისხმობს პერსონალის შეფასებას სტუდენტის, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების მიერ.
3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება, ასევე, გულისხმობს სააუდიტორო საქმიანობის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ტარდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნული გამოკითხვის შედეგად აფასებს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მართვის სტილს, ანაზღაურების საკითხს და ა.შ. კვლევის შედეგებს აჯგუფებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიხედვით. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულსა და სამსახურს (დეკანატს, ბიბლიოთეკას, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს და ა.შ.) ეგზავნება შედეგების ანალიზი და საყურადღებო საკითხები, სიღრმისეული შესწავლისა და რეაგირებისთვის. სტრუქტურული ერთეულები ყველა საჭირო რგოლთან თანამშრომლობით ახდენენ საყურადღებო საკითხებზე რეაგირებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯების დაგეგმვასა და განხორციელებას.

უსდ-ს მიერ სისტემატიურად ხორციელდება აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერი ღონისძიებების ორგანიზება და დაფინანსება, რაც გამოიხატება, მაგალითად: მათი სამეცნიერო სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნების დაფინანსებაში.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის 2021-2022 აკადემიური წლის ბიუჯეტში სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოყოფილია 61 000 ლარი. თანხა ითვალისწინებს როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალის დაფინანსების, ასევე, ფაკულტეტის ფარგლებში პერსონალის მიერ ინიცირებული კვლევითი პროექტების დაფინანსების ხარჯებს. (დაფინანსების საკითხი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „კვლევის დაფინანსების წესის“ შესაბამისად).

ბიუჯეტი, ასევე, ითვალისწინებს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს, 1033 ლარის ოდენობით.

2020 წლის სექტემბერში, ევროპის უნივერსიტეტმა მოიპოვა შესაძლებლობა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს უფასოდ ჰქონოდათ სამთვინიო წვდომა „კურსერას“ სერტიფიცირებულ კურსებზე. უნივერსიტეტის პერსონალს შესაძლებლობა

მიეცა, ამაღლებინათ კვალიფიკაცია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პროგრამებისა და კურსების საფუძველზე.

ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი, რომელიც ზრუნავს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ტრენინგ-ცენტრის ორგანიზებით, სისტემატურად იმართება სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგები, რომლებიც დაგეგმილია დაკვირვებების, გამოკითხვებისა და შეფასებების ფარგლებში მიღებული შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. იგი მუდმივად მუშაობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, საერთაშორისო ინსტიტუციური კვლევითი საგრანტო კონკურსების, საერთაშორისო ინდივიდუალური სასტიპენდიო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიების, უნივერსიტეტის პერსონალისთვის გაზიარების მიმართულებით. ცენტრი უწევს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კონსულტაციას საგრანტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობისა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში გამოყოფილია სპეციალური სივრცე, საპროფესორო.

შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ევროპის უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით უნივერსიტეტში შექმნილია სათანადო პირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- შპს ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;

- სააუდიტორო საქმიანობის შეფასების ანგარიშები, გაცემული უკუკავშირები და შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და საყურადღებო საკითხებზე რეაგირების ანგარიშები;
- სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ანგარიში განხორციელებული აქტივობების შესახებ;
- ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრის ანგარიში პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგების შესახებ;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიში;
- ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი (გურამიშვილის გამზირი №76, ოთახი 403);
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: <https://eunsis.eun.edu.ge/>;
- ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის ვებ-გვერდი: <https://eu.edu.ge/ge/research/globalization>.
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://eu.edu.ge/ge>.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება და პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელება მოხდება ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (გურამიშვილის გამზირი №76, თბილისი, 0141) და მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში (სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189), სადაც განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისათვის საჭირო და შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები.

პროგრამების განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სასწავლო აუდიტორიები, შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით. უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება გურამიშვილის №76 ნომერში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე, მეოთხე და მეხუთე სართულზე არსებული 10 აუდიტორია, საშუალოდ 32-34 სტუდენტზე გათვლილი; ასევე 70 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო დარბაზი და 44 კომპიუტერთ ალჭურვილი ორი ლაბორატორია. ისინი ალჭურვილია მერხებით, სკამებით, დაფით, კომპიუტერთ, პროექტორით, უსადენო ინტერნეტით. მედიცინის ფაკულტეტის კორპუსში (სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189) განთავსებულია ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის საგნების შესწავლისათვის შესაბამისად ალჭურვილი ლაბორატორიები.

შესაბამისი დოკუმენტაციისა და ალჭურვილობის შესწავლის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნივერსიტეტის შენობა ალჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით.

საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან/და ბეჭდური ფორმით.

საბიბლიოთეკო რესურსის განახლება მიმდინარეობს პერმანენტულად. 2021 წელს სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების წიგნადი ფონდის გამდიდრების და ელექტრონულ ბაზებზე წვდომისათვის გამოიყო – 30 000 ლარი, რაც დასტურდება 2021 წლის ბიუჯეტით.

ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: EBSCO EP Package ELITE, eIFL, Elsevier - ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის. აღნიშნული ელექტრონული რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე უნივერსიტეტის შენობის გარეთ.

ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ შექმნილია როგორც სამეცნიერო ბაზების, ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მოხმარების ინსტრუქციები და ეს ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით რეგულარულად ეგზავნება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებიც. საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის შესახებ, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დაბეჭდილია საინფორმაციო ბუკლეტები.

ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php>. კატალოგში ძიებისას, შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის მოძიება: ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ლიტერატურა; არსებული, გატანილი და დარჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა. ელექტრონულ კატალოგში ძებნა შესაძლებელია ავტორის, სათაურის ან თემატიკის მითითებით.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები რეგულარულად აღრიცხავენ მკითხველისა და სახელმძღვანელოების ბრუნვას თემატიკის მიხედვით. ეს ხელს უწყობს განისაზღვროს კონკრეტული მიმართულებით არსებული სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობა.

ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ორივე კორპუსში, მუშაობს 10:00 საათიდან 20:00 საათამდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევთ შეუფერხებლად ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსით.

ეგექტიანი და სწრაფი კომუნიკაციისათვის, უსდ-ში მუშაობს ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (<https://eunsis.eun.edu.ge/>), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ყოველი სემესტრის დასაწყისში. პლატფორმაზე, აგრეთვე, განთავსებულია მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები, შესაბამისად, აღნიშნული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თვალი ადევნონ საკუთარ შეფასებებსა და აკადემიურ მიღწევებს. ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმას, (<https://eunsis.eun.edu.ge/>) გამოკითხვის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის აუდიტორიები და ლაბორატორიები (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 0141, გურამიშვილის გამზირი №76; თბილისი, 0189, სარაჯიშვილის ქ. №17);
- ევროპის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 0189, გურამიშვილის გამზირი №76);
- ელექტრონული ბაზები: <https://eu.edu.ge/ge/library>;
- ელექტრონულ ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

<ul style="list-style-type: none"> ● ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ტრენინგზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფორმები; ● ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php; ● სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი; ● ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://eu.edu.ge/ge. ● თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია ფაკულტეტები, უნივერსიტეტის სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიუჯეტში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და პროგრამების საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას.

პროგრამის ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულები არიან ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელები. ბიუჯეტის შედგენისას ხდება პროგრამის საჭიროებების შეფასება, პრიორიტეტული ხარჯების გამოყოფა და გათვალისწინება, ასევე, პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამისა და ფაკულტეტის შემოსავლების გათვალისწინება.

2021-2022 სასწავლო წლის ბიუჯეტში დეტალურადაა გათვლილი როგორც უნივერსიტეტის არსებობისათვის, ასევე მისი განვითარებისათვის საჭირო ხარჯები. უსდ-ს ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა და კონკრეტული პროგრამის ჭრილში.

შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და შესაბამისად, პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები;
- ევროპის უნივერსიტეტის 2021-2022 სასწავლო წლის ბიუჯეტი;
- სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021-2022 სასწავლო წლის ბიუჯეტი;

<ul style="list-style-type: none"> • საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის წლიური საპროგნოზო საოპერაციო შემოსავალ-ხარჯების მაჩვენებლები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
-----------------------------------	---	--	--	--

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს-ევროპის უნივერსიტეტის მიერ შემუშავდა და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ იქნა საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამა.</p> <p>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას გეგმავს და წარმართავს რამდენიმე მიმართულებით, რომელსაც საფუძვლად დაედო აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებული სიახლეები და განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლესი გამოწვევები. სამსახურის საქმიანობა განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებებით: <i>სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები</i>. წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მომზადებულია და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღწერილი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც საფუძვლად უდევს არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვანი რეგულაციები, რაც გათვლილია უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებაზე.</p> <p>ის რომ ინსტიტუციურად ხარისხის უზრუნველყოფის ცნობიერების მაღალი ხარისხია დასტურდება არამხოლოდ დოკუმენტებით, არამედ პროცესებისადმი მართებული მიდგომები, რისი დასტურიცაა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანი წინამოსამზადებელი საფეხურების დეტალიზებული დაგეგმა და მართებული დანერგვა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშების პორთფოლიოში წარმოდგენილია არამხოლოდ დარგის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, არამედ დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგების ანალიზი. პირველი დოკუმენტი მომზადებულია მაღალკვალიფიციურად, კონკრეტული მეთოდოლოგიითა და ერთი მხრივ, დარგის დესკრიფციითა და მეორე მხრივ, დარგის არსებული მონაცემების ანალიზური შეფასებით. დოკუმენტის ანალიზურ ნაწილში ჩამოყალიბებულია, როგორც დარგის ძირითადი მიგნებები, ისე სარეკომენდაციო ნაწილი, რომლის მიხედვით მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის არსებითი კონცეპტუალური ხაზი. პროგრამის მომზადებას წინ უსწრებდა 60 კრედიტიანი მასწავლებლის პროგრამის წარმატებული მართვა უნივერსიტეტის მენეჯმენტის მხრიდან, რაც დადასტურდა ინტერვიუების ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისათვის სწორად იქნა ბაზარი ნაკვლევი, კვლევის ობიექტი არ ყოფილა მხოლოდ დედაქალაქი, დამკვირვებელთა ანალიზი მოცული იყო რეგიონების</p>

კვლევითაც, რამაც განაპირობა მართებული მიგნებებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, კვლავ შრომის ბაზრის მართებული კვლევის შედეგი იყო საბუნებისმეტყველო საგნების ასეთი თემატური მიმართებით ინტეგრირება, რაც განპირობებული იყო ანუ ბაზარზე დაფიქსირებული რეალობით. მკვლევართა ჯგუფმა პარალელურად შეისწავლა და გაანალიზა ყველა ის საკანონმდებლო საფუძველი, რომლის თანახმადაც ცვლილებები განვითარდა დარგში, რაც მნიშვნელოვანია რეგულირებადი დარგების ბაზრის ანალიზის პროცესში. დარგის კვლევართა მიერ კვლევის პროცესში ასევე გააზრებული იყო სოციალური კონტექსტი დარგის განვითარებისათვის. რაც შეეხება რეკომენდაციებს, რომელიც შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტში, ის აერთიანებს ტრიადას უსდ, დამსაქმებელი და საზოგადოება და სამივეს პერსპექტივიდან გაცემულია ისეთი რეკომენდაციები, რომელიც ხაზს უსვამს დაწესებულების პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, უსდ-ს დეტალურად აქვს გააზრებული მესამე მისია (უნივერსიტეტი - საზოგადოებას). ბაზრის კვლევის შესწავლის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, აქაც პროგრამის განმახორციელებელთა სასარგებლო უნდა ითქვას, რომ მემორანდუმებიც მომზადებულია მიზნობრივად და ფარავს, ფაქტობრივად ქვეყნის მასშტაბს და მოიცავს სხვადასხვა სკოლის ტიპებს, რითაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გამიზნულად მიჰყვება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის ჩამოყალიბებულ კონცეფციას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიური მხარდაჭერითა და თანამშრომლობით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების, დარგების სპეციფიკის, საზოგადოების მოთხოვნებისა და უახლესი გამოწვევების უმნიშვნელოვანესი თემების გათვალისწინებით, რაც რეალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელებით დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერის მიზნით მომზადებული მარეგულირებელი წესებითა და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით, მათ შორის უნდა დასახელდეს:

ii *უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №6 ოქმით);*

ii *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით);*

წინამდებარე დოკუმენტების გაცნობის შემდგომ ცხადად ჩანს, რომ ხარისხის სამსახურს დეტალურად აქვს გათვლილი ინსტიტუციური მართვის ყოველი პოზიცია, რომელიც ემყარება პრინციპებს: *გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა* და ემსახურება უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესს. ის სამოქმედო მექანიზმები, რითაც სამსახური ოპერირებს, გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების ფარგლებში ინსტიტუცია არსებით მნიშვნელობას ანიჭებს კვლევებს. პორთფოლიოში წარმოდგენილი იყო მრავალი მიმართულებით კვლევის კითხვარები, რომელიც არის გამართული თავისი შინაარსით. საკუთრივ პროგრამა ყოველწლიურად ფასდება გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, უსდ-მ, ცალკეული კვლევები და შეფასებები (მათ შორის პროგრამის შეფასება) წარმოადგინა უკვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რითაც დასტურდება, რომ ინსტიტუცია არსებით მნიშვნელობას ანიჭებს კვლევებს, რომლის აქტიური ჩატარება წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ყველა კვლევა მიიღო დოკუმენტურად თანდართული ანალიზით, რაც კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას ქმნის საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობისა და მათი განვითარების რეალური შესაძლებლობის შესახებ.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად მიმდინარე სიახლეებისა (როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი.

საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე წარმოდგენილი მოცემულობით ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე ფაქტობრივად ზუსტი ანალოგიის გარეშეა, რაც ერთგვარად შეიძლება იყოს პროგრამის განმახორციელებლებისთვის ხელსაყრელი პირობა სტუდენტების მოზიდვისათვის, თუმცა მეორე მხრივ, უკონკურენტო სივრცემ შესაძლოა გარკვეულწილად შეაფერხოს კიდევ პროგრამის განვითარება. პროგრამის განმახორციელებელი პირები შედარებით ანალიზისთვის მიმართავენ ასევე უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეებს, სადაც ანალოგიური პროგრამებია ბაზარზე (მათ შორისაა სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განათლების ეროვნული ინსტიტუტი, სლოვენის ლუბლიანის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტი, მასწავლებლის განათლების ციურხის (შვეიცარია) უნივერსიტეტი, ბრემენის (გერმანია) უნივერსიტეტი). კვლევის ავტორებს საგანმანათლებლო პროგრამები რამდენიმე მიმართულებითა და ინდიკატორით გაანალიზდა (პროგრამის ხანგრძლივობა, მიმართულებები, პროგრამის შინაარსი, კრედიტების განაწილება, სწავლების პერიოდი/სემესტრი, მიმართულებები, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, პროგრამის კომპონენტებისთვის დათმობილი კრედიტმოცულობა). ანალიზის ავტორები შემაჯამებელ ნაწილში განმარტავს, რომ მათ ანალოგიური პროგრამებიდან საინტერესოდ მიიჩნიეს რამდენიმე სასწავლო კურსი, რაც აისა კიდევ სასწავლო გეგმაში.

პროგრამის განმახორციელებელ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. ინტერვიუებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოები პროგრამის ინიცირებიდან ვიდრე თვითშეფასებამდე, რამაც შეავსო ცალკეული დასაზუსტებელი საკითხები, რაც ასე თანმიმდევრულად არ იკითხებოდა წარმოდგენილ პროგრამის თანხლებ მასალებში. ასევე აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ჯგუფს მიერ შემუშავებული ანგარიში არ არის მხოლოდ დესკრიფციული ნარატივი, დოკუმენტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ანალიზს, რაც რეალურად ადასტურებს ხარისხის სამსახურის მხრიდან აქტიურ ჩართულობას ხარისხის მექანიზმების გაზიარების პროცესში და აკადემიური პერსონალის დაინტერესებასა და მაღალ ჩართულობას ხარისხის მექანიზმების დანერგვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების პროცედურები; გამოყენების
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- ანალოგიური პროგრამის შედარებითი ანალიზი (ბენჩმარკი);
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

•
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება
<p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<ul style="list-style-type: none"> ● საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) <p>სსიპ-ვეროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა რეგულაციებით აწესრიგებს არამხოლოდ შიდა ხარისხის შეფასებას, არამედ მისი ქმედების არეალში ასევე მოქცეულია გარე ხარისხის შეფასება სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით. მათ შორის პირველ რიგში უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა ფართო სპექტრის გამოკითხვები. კვლევის შედეგები დეტალურადაა წარმოდგენილი როგორც ვერბალურად, ისე გრაფიკულად. დაინტერესებულ</p>

მხარეთა გამოკითხვას ასევე თან ახლავს კვლევის შედეგების ანალიზი, რომლის თანახმადაც კვლევის პროცესში დამსაქმებლები და კურსდამთავრებულების რეკომენდაციების იმპლემენტაცია ეტაპობრივად განხორციელდა პროგრამაში ჯერ კიდევ პროგრამის მომზადებისას, რაც პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის ცნობილი იყო, რეკომენდაციები განხილულ იქნა პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფებში.

პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინეს ასევე გარე შეფასების მიზნით დარგის ექსპერტებთან. მასალებიდან ექსპერტისათვის ხელმისაწვდომი იყო შემდეგი დოკუმენტები: საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა, პროგრამის მიზნებისა და სასწავლო შედეგების შესაბამისობის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგები რუკა, პროგრამის სწავლის შედეგები რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობის რუკა. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტს წარდგენილი ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივად სრული პაკეტი, მას საშუალება ჰქონდა დეტალურად გაეანალიზებინა პროგრამის სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც ჩამოყალიბებულია დასკვნაში, კერძოდ, პროგრამის ძლიერ მხარეებში ჩამოთვლილია და არგუმენტირებულია: *სპეციალობის მოდულში, სავალდებულო კურსების სახით შეთავაზებული საგნები მათემატიკური ანალიზი და წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია. აღნიშნული კურსები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათემატიკური აპარატისა და მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების განუყოფელი ნაწილია, ხოლო „მათემატიკური ენის“ სწორი გამოყენება გადამწყვეტია მრავალი საკვანძო საკითხის ახსნისა და გააზრებისთვის (გვ. 2).* ექსპერტი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარს ასევე იხილავს ახალი სტანდარტის ფარგლებში და დასძენს, რომ „[...] შერჩეულია ისეთი თემები და საკითხები, რომლებიც წარმოაჩენს სამივე დისციპლინის მეცნიერულ საფუძვლებს [...],“ შესაბამისად, ექსპერტს პროგრამის ძლიერ მხარედ მიაჩნია, რომ მის ფარგლებში ინერგება მეცნიერების სიახლეები, ამრიგად, სკოლა დაუახლოვდება მეცნიერების სიახლეებს. ექსპერტს გაცემული აქვს ასევე რამდენიმე რეკომენდაცია, რაც მეტწილად უკვე ასახულია პროგრამაში.

სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ პროგრამის პაკეტი გადაეცეს უცხოელ დარგის ექსპერტებს გარე შეფასების მიზნით, მით უფრო, რომ პროგრამის შემუშავებელ გუნდს ამ ეტაპზე უკვე ნამუშევარი აქვთ ანალოგიური პროგრამების შესწავლასა და ანალიზზე, შესაბამისად, მათთვის ცნობილია დარგის ექსპერტები, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიციური ექსპერტირება გაუწიონ ქართველ კოლეგებს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

ვიზიტის დროს ინტერვიუებში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები და დამსაქმებლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზარის კვლევა;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია პროგრამის ამუშავების შემდგომ პროგრამის პაკეტი გადაეცეს უცხოელ დარგის ექსპერტებს გარე შეფასების მიზნით.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ● საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) <p>საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეალურ სურათს იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის არსებით ვითარებაზე.</p>

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაგეგმილი რეაგირებების შესრულებას მონიტორინგს უწევს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების კურატორ ვიცე-რექტორთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარედგინება ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორს, მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისა და გაანალიზების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით. ანგარიში გაცნობისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის მიერ წარედგინება მმართველ საბჭოს.

ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით:

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წლიურად. მოცემულ შემთხვევაში უსდ-მ წარმოადგინა მოქმედი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის ანგარიში, რათა წარმოედგინა ის თემები და საკითხები, რის მიხედვითაც შესრულდა შეფასების პროცესი.

ამას გარდა წინამდებარე დოკუმენტის ანალიზის შემდგომ იგეგმება პროგრამის განვითარებისა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით განხორციელებულ აქტივობები (როგორცაა, პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების განახლება და სხვ.).

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება, განვითარება და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება, რომელიც მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად) და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება). პროცესები მიმდინარეობს დინამიკაში, ანუ ბოლო სამი წლის შედეგებზე დაკვირვება, რაც ხელს უწყობს რეალურად საყურადღებო საკითხების გამოყოფას და გამორიცხავს ძლიერი და სუსტი ჯგუფების შემთხვევაში მიღებულ შედეგებს, რომელიც გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით (შეფასების პროცესი რეგულირდება „ევროპის

უნივერსიტეტის სააუდიტორო მუშაობის შეფასების პროცედურების“ შესაბამისად, დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის N85 ბრძანებით). შეფასება ხორციელდება შემდეგი მეთოდოლოგიით:

- პერსონალის მიერ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის პირველად განხორციელების;
- სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე საჭიროების გამოკვეთის;

- წინა დაკვირვების საფუძველზე საყურადღებო საკითხების დაფიქსირების შემთხვევაში.

შეფასების პროცესში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის წარმომადგენელი.

შეფასების დაჯამებული შედეგები და უკუკავშირი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს ინდივიდუალურად. შეფასების უმნიშვნელოვანესი მიზანია კოლეგებს შორის არსებული საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, რაც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. შედეგების განხილვის საფუძველზე იგეგმება პროფესიული განვითარების ღონისძიებები, მათ შორის დარგობრივი ტრენინგები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით. ასევე შეფასების ფოკუსში შესაძლოა მოექცეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობის ხარისხი.

მონიტორინგისა და სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ფასდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა კმაყოფილების კვლევების საშუალებით, რომლის ფარგლებში ფასდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა, უნივერსიტეტის მხრიდან მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მართვის სტილი, ანაზღაურების საკითხები და ა.შ. სტუდენტების ზოგადი კმაყოფილების კვლევა კი ემსახურება სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, სასწავლო პროცესი.

კვლევების შემდგომ მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც გაზიარებულია როგორც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.

ვიზიტის პროცესში ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები მომიჯნავე პროგრამებიდან იცნობენ ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ მონიტორინგის განხორციელების დოკუმენტებს, რომელთა გაცნობა მათთვის სხვადასხვა ტრენინგსა და სამუშაო შეხვედრაზე გახდა შესაძლებელი, რომელიც უნივერსიტეტში პერიოდულად იგეგმება და ტარდება. ამას გარდა, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ მსგავს პროცესებში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული, თუმცა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

აკრედიტაციის პროცესში დაგეგმილი ინტერვიუების ფორმატში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შედგა ინტერვიუ, სადაც სამსახურის მიერ დეტალურად იქნა აღწერილი წინამდებარე პროცესები და განმარტებული. ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველი იქნებოდა ცალკეული აკადემიური პროცესების კიდევ უფრო მკაფიოდ შესწავლის მიზნით, თუ სამსახური შეიმუშავებდა მონიტორინგის კონკრეტულ მეთოდოლოგიას, რომელსაც დაექვემდებარებოდა პერიოდულად ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მონიტორინგის მექანიზმები სრულყოფილად ამოქმედდება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისათვის (მით უფრო, რომ ის პირველად განხორციელდება დაწესებულებაში), რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები; • შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები; • საგანმანათლებლო პროგრამის წლიური შეფასების ანგარიში (ნიმუში); • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, ცალკეული აკადემიური პროცესების კიდევ უფრო მკაფიოდ შესწავლის მიზნით, მონიტორინგის კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელსაც დაექვემდებარება ინსტიტუციაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			
--	---	--	--	--

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის](#)

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ინგა ლომაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ქიმერიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჩიკვაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო გრძელიძე